

ა(ა)იპ სარკინიგზო
ტრანსპორტის კოლეჯი

ა ნ გ ა რ ი შ ი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ სრულად იქნა შესრულებული კოლეჯის 2025 სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები.

2025 წელს განხორციელებული აქტივობებიდან კოლეჯის ინსტიტუციური განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შემდეგი:

- 2025 წელს კოლეჯმა, განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ განხორციელების უფლება არაინტეგრირებული, და ინტეგრირებული ფორმით და კვოტა 60 - დან გაზარდა 150 პროფესიულ სტუდენტამდე. ასევე, სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოში წარდგენილი იქნა განაცხადი კოლეჯისთვის ცენტრის სტატუსის მინიჭებისთვის;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „საწყობის ოპერირება“ და „ტვირთების ექსპედირება“ არსებული კვოტის 70 პროფესიული სტუდენტი ფარგლებში, 20 ადგილზე განხორციელდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება;
- კოლეჯმა უფლების დადასტურების გზით მოიპოვა დამატებით ექვსი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება.
- საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების საფუძველზე დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო 24 თვიანი ხანგრძლივობის გაუქმების საფუძველზე, განხორციელდა სარკინიგზო მიმართულების შვიდი დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება, რომლის შედეგად აღნიშნული პროგრამების ხანგრძლივობა 24 თვიდან დაუბრუნდა 16-17 თვეს.
- კოლეჯის მიერ „Erasmus +“-ს პროგრამაში გაწევრიანების მიზნით წარდგენილ იქნა საპროექტო განაცხადი, რომელიც ფოკუსირებულია სამშენებლო, სატრანსპორტო და ლოგისტიკის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მწვანე ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე. პროექტში ასოცირებულ პარტნიორებად გათვალისწინებულია სს "საქართველოს რკინიგზა" და შპს "მარაბდა-კარწახის რკინიგზა", რომლებიც უზრუნველყოფენ ინდუსტრიის უკუკავშირს განახლებული სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისას. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს „Erasmus +“-ს პროგრამაში გაწევრიანების მიზნით კოლეჯის მიერ წარდგენილ განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რის გამოც წარმოდგენილი ამოცანის განხორციელება ასევე გადატანილ იქნა 2026 წლის სამოქმედო გეგმაში.
- ნანჯინგის სარკინიგზო ტექნოლოგიების პროფესიული ინსტიტუტის (Nanjing Vocational Institute of Railway Technology - NIRT) და სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის დაიწყო თანამშრომლობა ერთობლივი პროფესიული პროგრამების შესამუშავებლად და დასანერგად;
- კოლეჯის არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ახალი პრაქტიკული სწავლების სახელოსნოების მშენებლობის მიზნით საქართველოს განათლების,

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილებით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს გამოეყო მიზნობრივი დაფინანსება **2,089537,26 (ორი მილიონ ოთხმოცდაცხრა ათას ხუთასოცდაჩვიდმეტი)** ლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 2 ერთეული იდენტური პავილიონის მშენებლობა არსებული სასწავლო გარემოს განვითარებისა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკული სწავლების სახელოსნოებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად **ლითონის დამუშავების, მექანიკისა და მექატრონიკის შედუღების, სპეციალური ტრანსპორტის, მოდელირებული სავაგონო დეპოსა და სატრანსპორტო გადაზიდვების მართვის მიმართულებით.**

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**შედუღება**“, განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შესყიდულ იქნა **61,200 ლარის ღირებულების მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობა**. აგრეთვე, მიმდინარეობს პროგრამის „**ლითონის დამუშავების**“ განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე დამატებისა და მისი სრულფასოვანი განხორციელების მიზნით გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში **142,088 ლარის აღჭურვილობის** შესყიდვის პროცესი;
- კოლეჯმა წარმატებით განახორციელა პროფესიული უნარების სააგენტოს კონკურსის „ექსტრაკურსული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტი: „საქართველოს „რკინის გზით წარსულიდან მომავლისაკენ“ და დასკვნითი ღონისძიება გამართა ქ. ახალქალაქის რკინიგზის სადგურზე;
- კოლეჯში წარმატებით დაინერგა პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში კომპიუტერული ავტონომიური საგამოცდო პროგრამების გამოყენების პრაქტიკა და 2025 წელს პირველად, აღნიშნული კომპიუტერული საგამოცდო პროგრამის დახმარებით ჩატარებულ იქნა როგორც შუალედური, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდების თეორიული ნაწილი;
- ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, კოლეჯის საერთო კვოტა 775 პროფესიული სტუდენტიდან გაიზარდა 865 პროფესიულ სტუდენტამდე, საიდანაც 670 მიიღება არაინტეგრირებული და 195 ინტეგრირებული ფორმით;
- სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი დღეისათვის ახორციელებს 20 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელთაგან 7 პროგრამა ხორციელდება დუალური, 6 პროგრამა კოოპერაციული და 7 პროგრამა კი ინტეგრირებული ფორმით და 42 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამას.

დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია);
2. რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია);
3. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია);
4. რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია);
5. სარკინიგზო გადაზიდვები (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია);
6. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია);
7. სავაგონო მეურნეობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია).

კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. მეჩარხე (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია);
2. შედუღება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია);
3. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია);
4. საწყობის ოპერირება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია);
5. ტვირთების ექსპედირება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია);
6. ლოკომოტივის მართვა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია).

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა;
2. ლოკომოტივის მართვა;
3. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება;
4. სავაგონო მეურნეობა;
5. სარკინიგზო გადაზიდვები;
6. საწყობის ოპერირება;
7. ტვირთების ექსპედირება.


კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სრული კვოტა 2025 წლის მდგომარეობით

კოლეჯის არსებული კვოტა - 2025 წლის მდგომარეობით			
№	პროგრამის სახელწოდება	ზღვრული რაოდენობა	შენიშვნა
1	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	60	
2	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი	30	
3	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა	45	
4	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა	30	ინტეგრირებული
5	ლოკომოტივის მართვა	130	
6	ლოკომოტივის მართვა	20	ინტეგრირებული
7	რკინიგზის ელექტრომომარაგის შემადგენლობა	30	
8	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	45	
9	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	30	ინტეგრირებული
10	სავაგონო მეურნეობა	45	
11	სავაგონო მეურნეობა	30	ინტეგრირებული
12	სარკინიგზო გადაზიდვები	45	
13	სარკინიგზო გადაზიდვები	45	ინტეგრირებული
14	მეჩარხე	20	
15	შედუღება	40	
16	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	80	
17	საწყობის ოპერირება	50	
18	საწყობის ოპერირება	20	ინტეგრირებული
19	ტვირთების ექსპედირება	50	
20	ტვირთების ექსპედირება	20	ინტეგრირებული
სულ ჯამი:		865	
არაინტეგრირებული		670	
ინტეგრირებული		195	

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 2025 წლის მდგომარეობით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსი მინიჭებული აქვს და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულია **623 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 478 მამაკაცი და 145 ქალი, რაც 39 პროფესიული სტუდენტით** აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სქესი (კაცი/ქალი)		პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
1.	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	42	1	43
2.	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი	22	1	23
3.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა	30	9	39
4.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (ინტეგრირებული)	17	0	17
5.	ლოკომოტივის მართვა	73	1	74
6.	ლოკომოტივის მართვა (ინტეგრირებული)	8	0	8
7.	რკინიგზის ელექტრო მოძრაობის შემადგენლობა	6	0	6
8.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	32	9	41
9.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება (ინტეგრირებული)	16	6	22
10.	სავაგონო მეურნეობა	31	7	38
11.	სავაგონო მეურნეობა (ინტეგრირებული)	9	0	9
12.	სარკინიგზო გადაზიდვები	26	11	37
13.	სარკინიგზო გადაზიდვები (ინტეგრირებული)	17	7	24
14.	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (ინტეგრირებული)	7	4	11
15.	საწყობის ოპერირება	20	24	44
16.	საწყობის ოპერირება (ინტეგრირებული)	3	3	6
17.	ტვირთების ექსპედიტორება	29	26	55
18.	ტვირთების ექსპედიტორება (ინტეგრირებული)	3	2	5
19.	მეჩარხე	19	0	19
20.	შედუღება	25	0	25
21.	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	43	34	77
სულ ჯამი:		478	145	
		623		




2025 წლის განმავლობაში **223-მა პროფესიულმა სტუდენტმა** წარმატებით დაამთავრა არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მიენიჭათ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, რაც **43 კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტით აღემატება** 2024 წლის ანალოგიური მაჩვენებელს. დღეის მდგომარეობით კოლეჯის არსებული კურსდამთავრებულთა რაოდენობა სულ შეადგენს **774 კურსდამთავრებულს**.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა
რაოდენობა 2025 წლის განმავლობაში**

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კურსდამთავრებულთა რაოდენობა		
		რკინიგზელი	არარკინიგზელი	ჯამი
1	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი	3	3	6
2	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	11	1	12
3	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა	9	5	14
4	ლოკომოტივის მართვა	17	6	23
5	რკინიგზის ელექტრომომძრავი შემადგენლობა	3	3	6
6	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	12	13	25
7	სავაგონო მეურნეობა	6	9	15

8	სარკინიგზო გადაზიდვები	6	7	13
9	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	3	35	38
10	„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ (ინტეგრირებული)		7	7
11	„სარკინიგზო გადაზიდვები“ (ინტეგრირებული)	3	4	7
12	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა		36	36
13	მეჩარხე		8	8
14	შედულება		13	13
	სულ ჯამი	73	150	223

კურსდამითავრებულთა დინამიკა 2024 - 2025 წლების განმავლობაში



გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი აქტიურად ახორციელებს მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს, რაც წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნებზე დროულად რეაგირების მნიშვნელოვან ინდიკატორს.

2025 წელს კოლეჯმა, როგორც ავღნიშნეთ, მოიპოვა 6 ახალი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება, რაც **3-ჯერ** აღემატება 2024

წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნული ფაქტორი მკაფიოდ ასახავს კოლეჯის ზრდის ტემპსა და შრომის ბაზრის მოთხოვნის მიხედვით ინოვაციური პროგრამების დანერგვის დინამიკას.

2025 წელს დამატებული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებია:

1. ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
2. საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
3. ნარჩენების მართვის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
4. დასაქმებულების დაცვა პროფესიული დაავადებებისგან (პროფესიული მომზადება);
5. სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე (პროფესიული გადამზადება);
6. სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე (პროფესიული გადამზადება).

დღეის მდგომარეობით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი სულ ახორციელებს **22 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების** პროგრამას, მათ შორის 12 პროფესიული მომზადებისა და 10 პროფესიული გადამზადების მიმართულებით.

პროფესიული მომზადების მოკლევადიანი პროგრამები:

1. ტექნიკური ნახაზების მხაზველი (პროფესიული მომზადება);
2. ელექტრო შემდუღებელი (პროფესიული მომზადება);
3. გეოდეზიური სამუშაოების შესრულება (პროფესიული მომზადება);
4. ვაგონების მსინჯველი (პროფესიული მომზადება);
5. ლიანდაგის მონტიორი (პროფესიული მომზადება);
6. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი (პროფესიული მომზადება);
7. მატარებლის შემდგენელი (პროფესიული მომზადება);
8. ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა (პროფესიული მომზადება);
9. საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
10. ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
11. ნარჩენების მართვის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
12. დასაქმებულების დაცვა პროფესიული დაავადებებისგან (პროფესიული მომზადება).

პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები:

1. არგონ-რკალური შემდუღებელი“ (პროფესიული გადამზადება);
2. ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ (პროფესიული გადამზადება);
3. ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი“ (პროფესიული გადამზადება);
4. დეფექტებისა და დაზიანებების ვიზუალური გამოვლენა ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში“ (პროფესიული გადამზადება);
5. სადგურის მორიგე“ (პროფესიული გადამზადება);
6. სადგურის დისპეტჩერი“ (პროფესიული გადამზადება);
7. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი (პროფესიული გადამზადება);


8. მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“ (პროფესიული გადამზადება).
9. სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე" - (პროფესიული გადამზადება)
10. სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე" - (პროფესიული გადამზადება)

2025 წლის განმავლობაში კოლეჯის 528-მა მსმენელმა წარმატებით დაამთავრა შერჩეული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა და გადაეცა პროგრამის სასწავლო კურსით გათვალისწინებული შესაბამისი სერტიფიკატი.

ამასთან, 2025 წლის დეკემბრის თვეში დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს სწავლება შემდეგი ცხრა მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე, რომლებშიც სულ 134 მსმენელია ჩართული და მათი განხორციელება დასრულდება 2026 წლის განმავლობაში.

სულ 2025 წელს ჩაირიცხა 662 მსმენელი 22 მომზადების/გადამზადების პროგრამებზე, მათ შორის სარკინიგზო ინდუსტრიის მიმართულებით 355 მსმენელი.

აღნიშნული მაჩვენებელი 223 მსმენელით აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.



დამატებით 2026 წლის იანვრისთვის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი უკვე დაფინანსებულია შემდეგი ექვსი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის 65 მსმენელისთვის.

1. ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
2. საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი;

3. ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი;
4. ნარჩენების მართვის სპეციალისტი;
5. სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე;
6. სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე.

**პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მიხედვით
კურსდამთავრებულთა რაოდენობა
2025 წლის მდგომარეობით**

№	პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის დასახელება	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	
		კაცი	ქალი
1.	ელექტრო შემდუღებელი	58	2
2.	არგონ-რკალური შემდუღებელი	30	0
3.	სადგურის დისპეტჩერი	30	0
4.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი	19	1
5.	მომძაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე	61	14
6.	ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	75	0
7.	ლიანდაგის მონტორი	39	1
8.	ტექნიკური ნახაზების მხაზველი	6	4
9.	რკინიგზის ტრანსპორტზე სცზ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი	30	0
10.	სადგურის მორიგე	19	1
11.	ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი	10	0
12.	ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი	25	3
13.	საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი	2	7
14.	ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა	21	0
15.	ნარჩენების მართვის სპეციალისტი	5	5
16.	ვაგონების მსინჯველი	18	2
17.	გეოდეზიური სამუშაოების შესრულება	31	9
სულ ჯამი:		479	49
		528	

კოლეჯში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია:

- ადმინისტრაცია: 30 პირი;
- აკადემიური პერსონალი: 110 პირი;
- მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების განმახორციელებელი: 48 პირი;
- შტატგარეშე თანამშრომელი 5 პირი.

2025 წლის განმავლობაში კოლეჯის მიერ განხორციელებული

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები თვეების მიხედვით:

იანვარი	✓ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სს საქართველოს რკინიგზას წარედგინა, კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმის საფუძველზე მომზადებული 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; ✓ კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმის ამოცანებიდან გამომდინარე მომზადდა და დამტკიცდა კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმა; ✓ ჩარიცხვის წლების მიხედვით, დამუშავდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტების გენდერთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები და გადაეგზავნა სს საქართველოს რკინიგზას; ✓ ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტოს“ მიერ მომზადებულ სპეციალურ ვებ პორტალზე - (https://evaluation.ge/) ჩატარდა კოლეჯის 2024 წლის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების კმაყოფილების კვლევა. კვლევის შედეგად სპეციალურად შემუშავებული ონლაინ პროგრამის საშუალებით ჯამში სულ გამოკითხულ იქნა კოლეჯის 91 კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტი და 40 კურსდამთავრებული მსმენელი. განხორციელდა კვლევის შედეგების შეჯამება, ანალიზი და გენერირებული სტატისტიკური მონაცემების შესახებ სრული ანგარიშის ელექტრონულ პორტალზე ატვირთვა; ✓ 2023 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის შუალედური (განმავითარებელი) შეფასების დისტანციურად სპეციალური საგამოცდო პროგრამის საშუალებით ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა საგამოცდო კითხვების პროგრამაში ატვირთვა, საკითხების სხვდასხვა ჯგუფებად გენერირება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვა; ✓ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ განახლებული სტანდარტით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის განფასება და კვლევის შედეგები წარედგინათ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებს და სტანდარტის შემუშავებაზე მონაწილე დარგის ექსპერტებს;
---------	--

	✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ინიცირებული პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის პროექტის ფარგლებში, წინასწარ ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების 24 კონკურსანტთან ერთად შერჩეულ იქნა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. იგი ერთი კვირის განმავლობაში, მონაწილეობდა გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში დაგეგმილი ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების გაძლიერების საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდა განათლების საერთაშორისო დღის აქტივობას; ✓ განხორციელდა „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად მომზადებული შესაბამისი ბაზების გადახედვა და რედაქტირებული მონაცემების ასახვა; ✓ განხორციელდა 2025 წლის პირველ კვარტალში მისაღები პროგრამული დაფინანსების ოდენობის სისწორის განსაზღვრა და ინფორმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) დადასტურება; ✓ განხორციელდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების ინფორმირება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკული კომპონენტის დადასტურების თარიღების შესახებ; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ და „ლოკომოტივის მართვა“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ 2023 წლის მიღების 36 პროფესიულ სტუდენტს, რომლებმაც სრულად აითვისეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები
--	---

	დაასრულებს სწავლა და მიენიჭათ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია; ✓ ხუთი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შესახებ: არგონ-რკალური შემდუღებელი, ელექტრო შემდუღებელი, ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი და გეოდეზიური სამუშაოების შესრულება, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარდგენილ იქნა შესაბამისი პროგრამული და ფინანსური ანგარიში; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებულ მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“. პროგრამაზე რეგისტრირებული 17 აპლიკანტიდან კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა 15 აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარები სააგენტოს დაფინანსებით, კოლეჯის სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ლიანდაგის მონტიორი“. პროგრამაზე რეგისტრირებული 10 აპლიკანტიდან კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა ათივე აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ კოლეჯის თეთრიწყაროს რაიონის ჰიბრიდული უნარების სააგენტოს წარედგინა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადება/გადამზადების დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა; ✓ განხორციელდა 2022 და 2023 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი; ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და დოკუმენტაციის განახლება; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
--	--

თებერვალი	✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს კონკურსში - „ექსტრაკურკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობა“, კოლეჯის მიერ გამარჯვებული პროექტის: „საქართველოს „რკინის გზით“ წარსულიდან მომავლისაკენ“ განხორციელების მიზნით, დაიწყო: შესაბამისი ინვენტარის და მომსახურების შესასყიდად მოძიებული ინვოისების განახლება, პროფესიული სტუდენტების კანდიდატურების შერჩევა, საპრეზენტაციო მასალების მომზადება, ბენეფიციარი საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, შემუშავებული სამოქმედო გეგმის გადახედვა და დაგეგმილი ღონისძიებების პროექტში მონაწილე ყველა მხარესთან შეჯერება; ✓ დიდი ბრიტანეთის, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) საერთაშორისო ვერიფიკატორის მიერ ონლაინ ფორმატში განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი. ონლაინ ვერიფიკაციის დროს საერთაშორისო ვერიფიკატორი გაეცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევებს, დეტალურად შეისწავლა სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში შექმნილი მტკიცებულებები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებები. საერთაშორისო ვერიფიკატორის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან და ყველა დასმულ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლების, პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების მიერ მიწოდებულ იქნა სრული ინფორმაცია და გადაეგზავნა მოთხოვნილი მტკიცებულებები; ✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ინიცირებული პროექტში „სქილვილი“ მონაწილეობის მიღების მიზნით, კოლეჯის მხრიდან შერჩეულ იქნა სამი პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატურა და მათ შესახებ შესაბამისი მოთხოვნილი ინფორმაცია გადაეგზავნა სააგენტოს; ✓ სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაზე „უცხო ენების მოხალისე პედაგოგი“, კოლეჯის მიერ წარდგენილ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი; ✓ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, მონრეალის ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ლითონის დამუშავებისა და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით სპეციალურ ტრენინგ კურსში მონაწილეობის მისაღებად კოლეჯის მიერ შერჩეულ იქნა ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი; ✓ კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მონაწილეობა მიიღო „Erasmus+ ეროვნული ოფისი საქართველოში“ მიერ დაგეგმილ საინფორმაციო ვებინარზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა „Erasmus+ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე კონკურსის შესახებ „Cooperation Partnerships in Education“ პარტნიორობა თანამშრომლობისთვის“ დეტალები; ✓ პროფესიულ სტუდენტთა ექსტრაკურკულური აქტივობების ფარგლებში, სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის“ სახელობის კოლეჯისა და სსიპ კოლეჯ
-----------	--

	„მოდუსის“ ორგანიზებით დაგეგმილ მასშტაბურ სპორტულ ფესტივალში, „პროფესიული განათლების სპორტული ფესტივალი 2025 - ჯანსაღი ცხოვრება და თანასწორობა“ მონაწილეობის მიღების მიზნით შერჩეულ იქნა კოლეჯის 18 პროფესიული სტუდენტი; ✓ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (IBRD) საერთაშორისო პროექტის „თანაბარი შესაძლებლობები საქართველოს რკინიგზის სექტორში“ ფარგლებში კოლეჯის შესახებ მომზადებული სპეციალური ვიდეო რგოლი, ფოტო მასალა და საინფორმაციო ბროშურა განთავსებულ იქნა კოლეჯის ვებგვერდზე და სხვდასხვა სოციალურ პლატფორმებზე; ✓ პროგრამის ხელმძღვანელების და მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა რკინიგზის ოპერირებაში“ პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით, განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: ლოკომოტივის მართვა და სარკინიგზო გადაზიდვები, 2024 წლის მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, თბილისის სალოკომოტივო დეპოში და სადგურ ავჭალაში გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში ვიზიტი; ✓ 2023 წლის მიღების რვა სარკინიგზო მიმართულების დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ 176 პროფესიულ სტუდენტს, ქ. თბილისსა და ჰიბრიდული სწავლების ცენტრებში, სპეციალური საგამოცდო პროგრამის საშუალებით ჩაუტარდათ შუალედური (განმავითარებელი) გამოცდა, რომლის შედეგად 140 პროფესიული სტუდენტი გადავიდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე. სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასულ პროფესიულ სტუდენტებს: ➤ სს საქართველოს რკინიგზასთან გაუფორმდათ შეგირდის ორმხრივი ხელშეკრულება; ➤ სს საქართველოს რკინიგზის მიერ მათზე გამოყოფილ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორები; ➤ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადანაწილდნენ სს საქართველოს რკინიგზის მიერ გამოყოფილ პრაქტიკის ობიექტებზე; ➤ დაურიგდათ შესაბამისი სპეცტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ 2023 წლის მიღების 13 პროფესიულ სტუდენტს, რომლებმაც სრულად აითვისეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები დაასრულეს სწავლა და მიენიჭათ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია; ✓ განხორციელდა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასული პროფესიული სტუდენტებისთვის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მიხედვით პრაქტიკის ობიექტების მოძიება, სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილ იქნა პრაქტიკული კომპონენტის გავლის გრაფიკი, დაურიგდათ შესაბამისი სპეცტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; ✓ განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფარგლებში განსახორციელებელი პროფესიული
--	--

	მოდულების დაწყება-დასრულების თარიღების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ და „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება; ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა, უფლების დადასტურების გზით, მოიპოვა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“ განხორციელების უფლება; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებულ პროფესიული მომზადების პროგრამაზე „გეოდეზიური სამუშაოების შესრულება“. პროგრამაზე რეგისტრირებული 21 აპლიკანტიდან კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა 10 აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ კოლეჯის სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამებზე: „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“ და „მოდრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“. პროგრამებზე გამოცხადებული დახურული კონკურსის შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა თითოეულ პროგრამაზე 10–10 და 15 აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარები სააგენტოს დაფინანსებით, კოლეჯის სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“. პროგრამაზე რეგისტრირებული 16 აპლიკანტიდან კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა 10 აპლიკანტი, რომლებსაც
--	---

	გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ კოლეჯის სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში წარმატებით განხორციელდა მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „სადგურის დისპეტჩერი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა. კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარედგინა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოში დაფინანსების მოპოვების მიზნით დამატებით განხორციელდა 13 პროგრამული განაცხადის წარდგენა პროფესიული მომზადება/გადამზადების შემდეგ პროგრამებზე: ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, გეოდეზიური სამუშაოების შესრულება, ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა, არგონ-რკალური შემდუღებელი, ელექტრო შემდუღებელი, რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი, ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი, ლიანდაგის მონტორი, მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე, სადგურის მორიგე, სადგურის დისპეტჩერი, ვაგონების მსინჯველი და საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი; ✓ განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადება/გადამზადების დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა; ✓ განხორციელდა 2022 და 2023 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებგვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
მარტი	✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გაგზავნილ იქნა ავტორიზაციის განაცხადი ორ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე: „საწყობის ოპერირება“ და „ტვირთების ექსპედიერება“, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზნით; ✓ ქ. სამტრედიისა და თეთრიწყაროს რაიონის ჰიბრიდული სწავლების ცენტრებში სასწავლო პროცესის წარმართვის მონიტორინგისა და ადგილზე შემოწმების მიზნით, განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლების ვიზიტი; ✓ დიდი ბრიტანეთის, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) საერთაშორისო ვერიფიკატორის მიერ ონლაინ ფორმატში განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი. ონლაინ ვერიფიკაციის დროს კოლეჯისთვის გამოყოფილი ახალი ვერიფიკატორი

	გაეცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევებს, დეტალურად შეისწავლა სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში შექმნილი მტკიცებულებები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებები, ყველა დასმულ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლების, პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების მიერ მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია და გადაეგზავნა მოთხოვნილი მტკიცებულებები; ✓ კოლეჯის პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევისა და უკუკავშირის მიღების მიზნით, პროფესიული სტუდენტების ფეისბუქ ჯგუფში ონლაინ ფორმატში განთავსებულ იქნა პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის კითხვარი; ✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს კონკურსში „ექსტრაკურთკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობა“, კოლეჯის მიერ გამარჯვებული პროექტის: „საქართველოს „რკინის გზით“ წარსულიდან მომავლისაკენ“ ფარგლებში, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროფესიული სტუდენტები ვიზიტით იმყოფებოდნენ: ქ. ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის, ჯიხაშის, შორაპნისა და სხვიტორის საჯარო სკოლებში. გადამღები ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ჩაწერილ იქნა ინტერვიუები და მომზადდა აქტივობის ამსახველი სპეციალური ვიდეო რგოლი; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ და „რკინიგზის ელექტრომომრავი შემადგენლობა“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „ელექტრო შემდუღებელი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში;
--	---

	✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „არგონ-რკალური შემდუღებელი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „სადგურის დისპეტჩერი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებულ მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ელექტრო შემდუღებელი“. პროგრამაზე რეგისტრირებული 18 აპლიკანტიდან კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა 10 აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებულ მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „არგონ-რკალური შემდუღებელი“. პროგრამაზე რეგისტრირებული 11 აპლიკანტიდან კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა 10 აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებლებთან ერთად შეუერთდა დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებულ აქტივობას; ✓ განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადება/გადამზადების დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა; ✓ განხორციელდა 2022 და 2023 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი; ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და დოკუმენტაციის განახლება;
--	---

	✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
აპრილი	✓ ორ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე: „საწყობის ოპერირება“ და „ტვირთების ექსპედიტორება“, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზნით, კოლეჯში განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოყოფილი ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ განახლებული სტანდარტის შესაბამისად განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გაგზავნილ იქნა ავტორიზაციის განაცხადი; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“-ს მე-7 მუხლის, მე-7 პუნქტის შესაბამისად, კომისიური წესით განხორციელდა, კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების განადგურება; ✓ განხორციელდა განახლებული პროფესიული სტანდარტების მიხედვით დამტკიცებული სარკინიგზო მიმართულების რვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“, „სარელსო დეფექტოსკოპისტი“, „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, „ლოკომოტივის მართვა“, „ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურების და რემონტის ზედინჟინერი“, „სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსი“, „სავაგონო მეურნეობა“ და სარკინიგზო გადაზიდვები“ მინიმალური სავალდებულო ადჟურვილობის ცხრილით გათვალისწინებული მასალა და ნედლეულის ბაზრის კვლევის მონაცემების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) ასახვა და მათი განსაფასებლად წარდგენა; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეჩარხე“ 2023 წლის მიღების 8 პროფესიულ სტუდენტს, რომლებმაც სრულად აითვისეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები დაასრულეს სწავლა და მიენიჭათ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია; ✓ დაიწყო (28 აპრილიდან - 20 მაისის ჩათვლით) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების მსურველთა საგაზაფხულო რეგისტრაცია. საგაზაფხულო მიღების ფარგლებში კოლეჯის მიერ მიღება გამოცხადებულ იქნა ოთხ ინტეგრირებულ და ორ არაინტეგრირებულ, ჯამში სულ 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საერთო კვოტით 57 პროფესიული სტუდენტი;

	✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს კონკურსში „ექსტრაკურკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობა“, კოლეჯის მიერ გამარჯვებული პროექტის: „საქართველოს „რკინის გზით წარსულიდან მომავლისაკენ“ ფარგლებში, დასკვნითი ღონისძიების გამართვის საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მივლინებით იმყოფებოდნენ ახალქალაქის რაიონის რკინიგზის სადგურში; ✓ კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის“ სახელობის კოლეჯისა და სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ორგანიზებით განხორციელებულ მინი ფეხბურთის ჩემპიონატში „პროფესიული განათლების სპორტული ფესტივალი 2025 - ჯანსაღი ცხოვრება და თანასწორობა“; ✓ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამადლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით: პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი შეუერთდა დედამიწის დღესთან დაკავშირებულ აქტივობას, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა დარგის ხეები და საკუთარი წვლილი შეიტანეს მწვანე სივრცის გაფართოების პროცესში; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სავაგონო მეურნეობა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „გეოდეზიური სამუშაოების შესრულება“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხული ათი მსმენელიდან რვა მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატი და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით
--	--

	გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა თხუთმეტივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში წარმატებით განხორციელდა მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „მომძიებლის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა. კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარედგინა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა, უფლების დადასტურების გზით, მოიპოვა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის „ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი“ განხორციელების უფლება; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში წარდგენილ იქნა პრეზენტაცია და განხილულ იქნა პენიტენციურ დაწესებულებებში მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნით მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები; ✓ განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადება/გადამზადების დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა; ✓ განხორციელდა 2022 და 2023 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
--	---

მაისი	✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა წარმატებით განახორციელა, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს კონკურსის „ექსტრაკურსული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტი: „საქართველოს „რკინის გზით წარსულიდან მომავლისაკენ“. პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა ახალქალაქის რკინიგზის სადგურში, სადაც წარმოდგენილ იქნა პროექტის ძირითადი მიზნები, მიღწეული შედეგები და სამომავლო პერსპექტივები. ღონისძიებას ესწრებოდნენ: კოლეჯის ადმინისტრაციის, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს, სს საქართველოს რკინიგზის, შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზის წარმომადგენლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და თამაზ მელიქიძის სახელობის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. კოთელიის საჯარო სკოლის მოსწავლეები. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სპეციალურიო საინფორმაციო ბუკლეტი, რომელშიც თავმოყრილია ცნობილი ქართველი ისტორიული პერსონაჟების შესახებ ინფორმაცია და წყაროები. პროექტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების დაახლოებაში, პროფესიული სტუდენტების ცოდნის გაღრმავებაში, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებაში, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებასა და კულტურული მემკვიდრეობის დაფასებაში; ✓ კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და პროფესიული განათლების მიღების მსურველი აპლიკანტების რეკრუტირების მიზნით, კოლეჯის წარმომადგენლები ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. თბილისის 32-ე, 154-ე და 177-ე საჯარო სკოლებში. ვიზიტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია 2025 წლის საგაზაფხულო რეგისტრაციის ფარგლებში კოლეჯის მიერ გამოცხადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სწავლების უპირატესობების შესახებ. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში და ყველა დაინტერესებულ საკითხთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებას კოლეჯის წარმომადგენლების მიერ მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია; ✓ 2025 წლის საგაზაფხულო რეგისტრაციის ფარგლებში გამოცხადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ჩატარდა ღია კარის დღის აქტივობა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შპს საჯარო სკოლა „თამარიონი“-ს მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებმა. აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებმა დაათვალიერეს კოლეჯში არსებული ინფრასტრუქტურა, მიიღეს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, დასვეს მათთვის საინტერესო ყველა საკითხთან დაკავშირებული შეკითხვები, რომლებზეც კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მიიღეს სრული ინფორმაცია;
-------	--

	✓ პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და 2025 წლის საგაზაფხულო რეგისტრაციის ფარგლებში კოლეჯის მიერ გამოცხადებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები: ქ ქუთაისის გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში, სოფელ მთისძირის სამხედრო სასწავლო ცენტრში და კრწანისის სამხედრო წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებთან და მათი ოჯახის წევრებთან; ✓ განხორციელდა სარკინიგზო მიმართულების რვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო ადჰურვილობის განფასება. განფასებული მასალა და ნედლეულის ღირებულებები და ბაზრის კვლევის ჩატარების შედეგად მოძიებული დოკუმენტაცია ატვირთულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/); ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში გაიმართა გაეროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საინფორმაციო შეხვედრა: შრომითი მიგრაციის კონტროლის, ტრეფიკინგთან ბრძოლის მეთოდების, ადამიანით ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტების, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით. შეხვედრა წარიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პროფესიული სტუდენტებმა; ✓ კოლეჯის სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში წარმატებით განხორციელდა მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა. კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარედგინა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის თეთრიწყაროს რაიონის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში წარმატებით განხორციელდა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა. კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარედგინა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის
--	--

	საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მეჩარხე“ და „შედულება“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება; ✓ განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადება/გადამზადების დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა; ✓ განხორციელდა 2022 და 2023 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
ივნისი	✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქტივობას; ✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში შექმნილი დიგიტალიზაციის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გაიმართა გაცნობითი ხასიათის საორგანიზაციო შეხვედრა; ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, 2023 წლის მიღებაზე ჩარიცხული 41 პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით, სს საქართველოს რკინიგზის მიერ გამოყოფილ იქნა შესაბამისი პრაქტიკის ობიექტი სადაც განხორციელდა საწარმოო პრაქტიკისთვის გათვალისწინებული კრედიტების სრულად ათვისება; ✓ სს საქართველოს რკინიგზაზე დასაქმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვის“ სამ პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის ხელმძღვანელების დახასიათების საფუძველზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი;

	✓ 2022 წლის მიღების ორი ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: სარკინიგზო გადაზიდვები - 7 და რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა - 7, ჯამში სულ - 14 პროფესიულ სტუდენტს, საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის წარმატებით ჩაბარების შედეგად მიენიჭათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია; ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის N162/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ტრენინგებისა და გადამზადების კურსების ჩატარების საჭიროებათა იდენტიფიცირების მიზნით, განხორციელდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების კმაყოფილების კვლევა; ✓ სამი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შესახებ: „რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“, „მოდრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“ და „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი“, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარდგენილ იქნა შესაბამისი პროგრამული და ფინანსური ანგარიში; ✓ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების ცენტრთან; ✓ სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ქ. რუსთავის მე-16 და მე-17 პენიტენციურ დაწესებულებებში მიღწეულ იქნა შეთანხმება მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის „ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი“ განხორციელების შესახებ. აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამის პირისპირ განხორციელების საკითხზე თანხმობის მოპოვების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დამატებით ასევე გაგზავნილ იქნა შესაბამისი წერილობითი მიმართვა; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა, უფლების დადასტურების გზით, მოიპოვა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის „ნარჩენების მართვის სპეციალისტი“ განხორციელების უფლება; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებულ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე: „ვაგონების მსინჯველი“, „მოდრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“, „სადგურის დისპეტჩერი“, „ლიანდაგის მონტორი“, „გეოდეზიური სამუშაოების შესრულება“, „ელექტრო შემდუღებელი“, „არგონ-რკალური შემდუღებელი“, „ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა“;
--	---

	„საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“, „ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი“. გასაუბრების შედეგად შერჩეულ პალიკანტებს გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ კოლეჯის სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამებზე: „სადგურის მორიგე“ და „რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“. გასაუბრების შედეგად შერჩეულ პალიკანტებს გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „ელექტრო შემდუღებელი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „არგონ-რკალური შემდუღებელი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს, სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის“ სახელობის კოლეჯისა და სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ორგანიზებით განხორციელებულ ფრენბურთის ჩემპიონატში „პროფესიული განათლების სპორტული ფესტივალი 2025 - ჯანსაღი ცხოვრება და თანასწორობა“; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ და „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა;
--	---

	✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება; ✓ განხორციელდა 2022 და 2023 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
ივლისი	✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში 2025 წლის 16 ივლისის ვიზიტის ფარგლებში მოხდა სს საქართველოს რკინიგზის კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის, ადამიანური რესურსების (HR) დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა და ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და პრაქტიკული სწავლების აღჭურვილობის დათვალიერება. სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსი თვის ანგარიშის საჯარო განხილვაში. კოლეჯის დირექტორმა სტუმრებს წარუდგინა პრეზენტაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, გამოწვევების, მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა კოლეჯში არსებული ვითარების, განვითარების შემდგომი პერსპექტივებისა და შესაძლებლობების საკითხები; ✓ დაიწყო სასწავლო პროცესი 2025 წლის საგანმანათლებლო მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის. ყველა საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ კოლეჯის მიერ გამოცხადებულ ექვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსი მიენიჭა 32 აპლიკანტს; ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და პროფესიული უნარების ერთობლივი პროექტში „ჯარის ბანაკი“, რომლის მიზანია ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მომავალი თაობის ინფორმირებულობის გაზრდა ქართული ჯარის შესახებ, მონაწილეობა მიიღო კოლეჯის სამი ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა, მათ შორის ერთი გოგონამ. პროექტში მონაწილე პროფესიული სტუდენტები გადანაწილებულ იქნენ ორ სხვადასხვა ლოკაციაზე: დაბა კოჯორში - სერჟანტთა აკადემიაში და საჩხერის რაიონში არსებულ სამთო მომზადების სკოლაში; ✓ განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „შედულება“ მიხედვით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებპორტალზე ატვირთულ იქნა შესაბამისი სატენდერო განაცხადი;

	✓ შევსებულ იქნა საკონკურსო განაცხადი „UNESCO“-ს ეგიდით გამართულ საერთაშორისო ფოტო კონკურსში „ქალები აბრეშუმის გზის მემკვიდრეობის მცველები“ მონაწილეობის მისაღებად; ✓ ოთხი ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება, სავაგონო მეურნეობა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები“ 2023 წლის მიღებაზე ჩარიცხული 27 პროფესიული სტუდენტებისთვის შუალედური (განმავითარებელი) შეფასების სპეციალური საგამოცდო პროგრამის საშუალებით ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა საგამოცდო კითხვების პროგრამაში ატვირთვა, საკითხების სხვადასხვა ჯგუფებად გენერირება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვა; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებულ ოთხ მოკლევადიან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხულ 57 მსმენელთან: „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“, „ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა“, „ლიანდაგის მონტიორი“ და „გეოდეზიური სამუშაოების მართვა“. ✓ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის დაფინანსების მოპოვების მიზნით, კოლეჯი წელს პირველად ჩაერთო ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალურ პროექტში "ისწავლე და დასაქმდი" და წარდგენილ იქნა 3 პროგრამის შესაბამისი პროგრამული განაცხადი; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სავაგონო მეურნეობა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ სს საქართველოს რკინიგზის მიერ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ლოკომოტივის მართვა“ და „სავაგონო მეურნეობა“ სამსახურიდან განთავისუფლებული ორი პრაქტიკის ინსტრუქტორის ახლით ჩანაცვლება; ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება;
--	---

	✓ განხორციელდა 2023 და 2024 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
აგვისტო	✓ სს საქართველოს რკინიგზაზე დასაქმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ ორ პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის ხელმძღვანელების დახასიათების საფუძველზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი; ✓ კოლეჯის საკვალიფიკაციო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი განხორციელებისა და სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით, გაუჩერული დაფინანსების ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის ცხრილით გათვალისწინებული მასალა და ნედლეულის დამატებითი შესყიდვა; ✓ პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებულ ტრენინგ კურსში სწავლა „სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში, ინტეგრირებული მოდულების განხორციელება და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“, მონაწილეობა მიიღო კოლეჯის შვიდმა, მათ შორის ოთხმა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; ✓ კოლეჯის სოციალური მედიის მართვისა და სტუდენტების მოზიდვის მიმართულებით განხორციელდა Digital სტრატეგია რამდენიმე პლატფორმაზე პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად და კოლეჯის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. შეიქმნა კოლეჯის Instagram და TikTok პლატფორმები, სადაც პროგრამებზე რეგისტრაციის განმავლობაში ხორციელდებოდა ყოველდღიური კონტენტის გამოქვეყნება, რითაც უზრუნველყოფილი იყო სტაბილური ხილვადობა და ჩართულობა სამიზნე აუდიტორიასთან. კონტენტი სტრატეგიულად იყო შემუშავებული კოლეჯის ცხოვრების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სტუდენტური შესაძლებლობების წარმოსაჩენად. კოლეჯის YouTube არხს დაემატა პრომო ვიდეოები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, კამპუსის ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტების შეფასებები; ✓ რეკრუტირების ფარგლებში სს „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო მატარებელში 1 თვის მანძილზე მგზავრებს დაურიგდათ კოლეჯის საინფორმაციო ფლაერები;

	✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „ლიანდაგის მონტორი“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში წარმატებით განხორციელდა მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „სადგურის მორიგე“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა. კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარედგინა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „გეოდეზიური სამუშაოების შესრულება“. სწავლება დაასრულა პროგრამაზე ჩარიცხულმა ათივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების ცენტრთან შეთანხმების საფუძველზე, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ქ. რუსთავის მე-16 პენიტენციურ დაწესებულებაში დაიწყო სწავლა მოკლევადიანი მომზადების პროგრამაზე „ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი“ 8 მსმენელით; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ და „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება; ✓ განხორციელდა 2023 და 2024 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი;
--	--

	✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებგვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
სექტემბერი	✓ დასრულდა პროფესიული განათლების მიღების მსურველი აპლიკანტების 2025 წლის რეგისტრაცია, რომლის შედეგად კოლეჯის მიერ გამოცხადებულ 402 ადგილზე პირველადი არჩევნით დარეგისტრირდა 434 აპლიკანტი, ხოლო მეორადი და მესამედი არჩევნის გათვალისწინებით სულ ჯამში რეგისტრირებულ იქნა 749 აპლიკანტი; ✓ რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ განხორციელდა შესაბამისი საგამოცდო სივრცეების მოწყობა და კოლეჯის მიერ გამოცხადებულ 20 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების შერჩევის მიზნით მოტივაციური გასაუბრების პროცესის ორგანიზება; ✓ 2025 წლის მიღებაზე რეგისტრირებულ აპლიკანტთა შერჩევისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების ვადების შესახებ არსებული მონაცემები ასახულ იქნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემთა ბაზაში; ✓ განხორციელდა კოლეჯის მიერ გამოცხადებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტების ინფორმირება ჩანიშნული მოტივაციური გასაუბრების თარიღების შესახებ, გასაუბრების კომისიების ფორმირება და მოტივაციური გასაუბრების ჩატარება; ✓ კოლეჯის მიერ შექმნილი კომისიის მიერ განხორციელდა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები“ რეგისტრირებული ერთი შშმ აპლიკანტის პრაქტიკული მოსინჯვა, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური ჯგუფის შეფასების თანახმად გამოუვლინდა დასწავლის უნარის დარღვევა, შემეცნებითი სირთულეები და მიენიჭა სსსმ პირის სტატუსი. მულტიდისციპლინური ჯგუფის შეფასებისა და კოლეჯის მიერ კომისიური წესით ჩატარებული პრაქტიკული მოსინჯვის შედეგად წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, აპლიკანტი შერჩეულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“; ✓ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლითონის დამუშავება“ განახლებული სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის განფასება. განფასებული მასალა და ნედლეულის ღირებულებები და ბაზრის კვლევის ჩატარების შედეგად მოდიებული დოკუმენტაცია ატვირთულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/); ✓ „ათასწლეულის გამოწვევა“ კორპორაციის, „გუდავადე-პატარკაციშვილი“-ს ფონდის, „საქართველოს პარლამენტი“-სა და „პროფესიული უნარების

	სააგენტოს“ მიერ ორგანიზებულ ერთობლივ კონკურსში „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო - 2025“ წარდგენილ იქნა განაცხადი შემდეგ ნომინაციებზე: ➤ წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ლოკომოტივის მართვა“; ➤ წლის მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა: „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“; ➤ წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი. ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში გაიმართა სემინარი, სამხრეთ ჩინეთის მთავრობის მიერ აღიარებული ნანჯინგის სარკინიგზო ტექნოლოგიების პროფესიული ინსტიტუტის (Nanjing Vocational Institute of Railway Technology - NIRT) წარმომადგენლების მონაწილეობით. ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა და სამხრეთ ჩინეთის ნანჯინგის სარკინიგზო ტექნოლოგიების პროფესიული ინსტიტუტს შორის სამომავლო აკადემიური თანამშრომლობის საკითხები და სარკინიგზო სფეროში გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები. ასევე, ჩინური და სხვა უცხო ენების სწავლების ცენტრის შექმნის შესაძლებლობის განხილვა კოლეჯის ბაზაზე, რაც ხელს შეუწყობს, როგორც პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის, ისე სხვა დაინტერესებულ პირების კვალიფიკაციის, კომპეტენციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაღრმავებას. აღნიშნული ვიზიტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველო-ჩინეთის სარკინიგზო ინდუსტრიის სფეროში თანამშრომლობის განვითარებაში, რომელი მიმართულებითაც ჩინეთის მხარეს აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები და შეუძლია წარმატებული პრაქტიკის გაზიარება; ✓ დასრულდა, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული კვლევა, რომლის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვრულ იქნა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები და დაგეგმილ იქნა შესაბამისი მიზნობრივი ტრენინგ კურსების ჩატარების შემდგომი ეტაპები; ✓ კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროექტში - „ექსტრაკურთკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობა“, საპროექტო განაცხადით: „საქართველოს ჩვენ ავაშენებთ მწვანე რკინიგზას“ და მოიპოვა გამარჯვება. ✓ კოლეჯის ქ. თბილისის ძირითად სასწავლო კორპუსში წარმატებით განხორციელდა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით გამოცხადებული ოთხი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა: „ელექტრო შემდუღებელი“, „ვაგონების მსინჯველი“,
--	--

	„რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“ და „სადგურის დისპეტჩერი“ სწავლება დაასრულა თითოეულ პროგრამაზე ჩარიცხულმა ათ-ათმა, ჯამში სულ 40-მა მსმენელმა. დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში; ✓ პროფესიული უნარების სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა მოიპოვა დაფინანსება 11 მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების და ჯამში 160 მსმენელის გადამზადების მიზნით; აღნიშნული მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამებია: ➤ ელექტრო შემდუღებელი - 20 მსმენელი; ➤ მოძრაობის უსაფრთხოება - 30 მსმენელი; ➤ რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი - 10 მსმენელი; ➤ ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი - 30 მსმენელი; ➤ ნარჩენების მართვის სპეციალისტი - 10 მსმენელი; ➤ ვაგონების მსინჯველი - 10 მსმენელი; ➤ სადგურის მორიგე - 10 მსმენელი; ➤ სადგურის დისპეტჩერი - 10 მსმენელი; ➤ რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი - 10 მსმენელი; ➤ ლიანდაგის მონტიორი - 10 მსმენელი; ➤ გეოდეზიური სამუშაოების შესრულება - 10 მსმენელი; ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „შედულება“ და „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით განახლება; ✓ სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების ცენტრთან შეთანხმების საფუძველზე, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ქ. რუსთავის მე-17 პენიტენციურ დაწესებულებაში დაიწყო სწავლა მოკლევადიანი მომზადების პროგრამაზე „ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი“ 10 მსმენელით;
--	--

	✓ განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადება/გადამზადების დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა; ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება; ✓ განხორციელდა 2023 და 2024 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvvet.emis.ge/) არსებული მონაცემები; ✓ განხორციელდა კოლეჯის ვებგვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება.
ოქტომბერი	✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სს „საქართველოს რკინიგზის“ ადამიანური რესურსების (HR) დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კოლეჯის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და განვითარების პერსპექტივების განხილვა; ✓ განხორციელდა 2025 წლის საშემოდგომო რეგისტრაციის შედეგად კონკურსგავლილი აპლიკანტების ინფორმირება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მისანიჭებლად გათვალისწინებული დოკუმენტაციის კოლეჯში წარმოდგენისა და სტატუსის მინიჭების თარიღების შესახებ; ✓ განხორციელდა, 2025 წლის საშემოდგომო რეგისტრაციის შედეგების შესახებ ინფორმაციის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (https://vet.emis.ge/) მონაცემთა ბაზაში ასახვა; ✓ ოთხ ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება, სავაგონო მეურნეობა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები“, 2023 წლის მიღებაზე ჩარიცხული 27 პროფესიული სტუდენტს სპეციალური საგამოცდო პროგრამის საშუალებით ჩაუტარდათ შუალედური (განმავითარებელი) გამოცდა, რომლის შედეგად 18 პროფესიული სტუდენტი გადავიდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე. სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასულ პროფესიულ სტუდენტებს: ➤ სს საქართველოს რკინიგზასთან გაუფორმდათ შეგირდის ორმხრივი ხელშეკრულება; ➤ სს საქართველოს რკინიგზის მიერ მათზე გამოყოფილ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორები; ➤ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადანაწილდნენ სს საქართველოს რკინიგზის მიერ გამოყოფილ პრაქტიკის ობიექტებზე;

